ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**g-95. 95223621**

თარიღი:**28/12/2022**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტლიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის I კვარტლის (იანვარი-მარტი) სამუშაო გეგმა თანახმად დანართი №1-სა.

2.ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებმა უზრუნველყონ სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესწავლა და მომზადება დადგენილ ვადაში.

3.დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

4.განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

5.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6.განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი